ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2861660

ნომერი: AR1439092

თარიღი : 09.09.2016

გაცემის თარიღი : 28.09.2016

გაცნობის თარიღი : 29.09.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , მიკრო/რაიონი 3 , კორპუსი 12 , მიმდებარედ (ნაკვეთი 05/033)/ ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , მიკრო/რაიონი III , 151-ე ბაგა-ბაღის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარ ზიბზიბაძე პ/ნ 28001028046
- დიღმის მას., V კვ., კორ., №17, ბ.№44

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 17.03.2016 წ. №2481578 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 09.09.2016 წ. №AR1439092 განცხადებით მომართა ოთარ ზიბზიბაძემ და მოითხოვა სამსახურის 17.03.2016 წ. №2481578 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 17.03.2016 წ. №2481578 ბრძანებით ქ.

თბილისში, დასახლება მუხიანი, მიკრო/რაიონი III, 151-ე ბაგა-ბაღის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ფართობი: 1568 კვ.მ.; საკადასტრო კოდი №01.11.13.005.075) მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის აშენების მიზნით დადგენილი იქნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. განმცხადებელი ითხოვს ცვლილებას, კერძოდ საპროექტო მიწის ნაკვეთის სამხრეთით მდებარე ტერიტორიის საზოგადოებრივ სივრცედ დაფიქსირებას,
წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან კერძოდ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების სააგენტოს წერილიდან (№01-8/6484 20.09.2016 წ.) დგინდება, რომ მითითებული ტერიტორია წარმოადგენს სარეკრეაციო სივრცეს, რომელზეც განთავსებულია სტადიონი და ამ ეტაპზე არ იგეგმება მისი განკარგვა.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ვინაიდან, სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელად მიაჩნია აღნიშნული ცვლილების ასახვა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 17.03.2016 წ. №2481578 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს ჩანაწერი: საზოგადოებრივ სივრცედ დასავლეთ მხარესთან ერთად განგვისაზღვროს სამხრეთი მხარეც;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 17.03.2016 წ. №2481578 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.